

## საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

### ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2016 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლებიც ძალაში შედის 2017 წლის 1-ლი იანვრიდან. ქვემოთ მოცემულია ამ ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხები:

#### დღ -

2017 წლის პირველი იანვრიდან მიღებული ავანსები წარმოადგენს დასაბეგრ ბრუნვას და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის საფუძველს. რის საფუძველზეც მიმღები მხარე მიიღებს ჩათვლას.

#### აქციზი -

2017 წლის პირველი იანვრიდან გაიზარდა აქციზის განაკვეთი თამბაქოს ნაწარმზე, მსუბუქ ავტომობილებზე, ნავთობპროდუქტებსა და ბუნებრივ აირზე.

#### ქონება -

2017 წლის პირველი იანვრიდან ფიზიკური პირები უძრავი ქონების გარდა ქონების გადასახადს გადაიხდიან მსუბუქ ავტომობილებზე.

## მოსალოდნელი სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

### საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

2017 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოს სხვადასხვა ნორმატიულ აქტში შედის მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის მნიშვნელოვანი მუხლი ემატება საქართველოს კანონს „მეწარმეთა შესახებ,“ კერძოდ, 13<sup>1</sup> მუხლი, რომელიც არეგულირებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სამეთვალყურეო საბჭოში (შემდგომ – სდპ) აუდიტის კომიტეტის შექმნას. აუდიტის კომიტეტის წევრები იქნებიან ამ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან არჩეული წევრები. იმ სდპ-ში, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, შეიქმნება დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომლის წევრები იქნებიან საერთო კრების მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული დამოუკიდებელი პირები.

ამ მუხლის თანახმად, აუდიტის კომიტეტის ფუნქციები იქნება შემდეგი:

- სამეთვალყურეო საბჭოსთვის, მისი არარსებობის შემთხვევაში კი – საერთო კრებისთვის, განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური



ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში კომიტეტის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

- ფინანსური ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფის და საერთო კრების მიერ ასარჩევი აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის შესახებ რეკომენდაციების გაცემა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის, მისი არარსებობის შემთხვევაში კი – საერთო კრებისთვის, საქმიანობის შესახებ ანგარიშის რეგულარულად წარდგენა და ფუნქციების განხორციელებისას წარმომობილი წინააღმდეგობების შესახებ დაუყოვნებლივ შეტყობინება;

აღნიშნული 13<sup>1</sup> მუხლი არ გავრცელდება კომერციულ ბანკებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ანგარიშვალდებულ საწარმოებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით, მზღვეველებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით, და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებზე,

რომელთა საქმიანობა რეგულირდება „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით.

## მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

2016 წლის 11 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ საინტერესო განჩინება გამოიტანა საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან, კერძოდ, უძრავი ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებით.

საქმე ეხება კომერციული ბანკის მიერ ფიზიკური პირის საკრედიტო დავალიანების გაუსტუმრებლობის გამო ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების დაყადაღებას.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა მოსარჩელის განცხადება, იგი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, იმსჯელა უზრუნველყოფის მიზნით უძრავი ქონების დაყადაღების მიზანშეწონილობაზე და განმარტა შემდეგი:

- მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საფუძველი, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი. არ უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის უპირობო და ცალსახა შელახვა, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით და

იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვისათვის. მხარეთა ინტერესების დაბალანსებისთვის უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური, არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება;

- უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვნის, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვის გამოცხადებას;
- მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფასთან მიმართებით განმცხადებლის კანონიერი ინტერესს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების შენარჩუნება, რისთვისაც საკმარისია უძრავი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის ღონისძიების გამოყენება;
- შესაბამისად, როდესაც მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვა შესაძლებელია გაცილებით ნაკლები შეზღუდვის მქონე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, პალატამ გაუმართლებლად მიიჩნია უფრო მკაცრი და უფრო მეტი შეზღუდვების მქონე

უზრუნველყოფის ღონისძიების –  
ყადაღის, გამოყენება;

- უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხისათვის უძრავი ქონების გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით, ერთი მხრივ, დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე დაცული იქნება მოსარჩელის კანონიერი ინტერესი და მეორე მხრივ, არ მოხდება მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის შელახვა. აღნიშნული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უზრუნველყოფს ორივე მხარის ინტერესის დაბალანსებას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ნაწილობრივ დააკმაყოფილა. განჩინებით მესაკუთრეს აკრძალა უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, ხოლო ყადაღის დადებაზე შუამდგომლობის ავტორს ეთქვა უარი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საქმეზე N28/5926-16 ხელმისაწვდომია სააპელაციო სასამართლოს ვებ. გვერდზე.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უდნა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

### **საკონტაქტო ინფორმაცია:**

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა  
(მეიდან პალასი) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

[office@bakertillygeorgia.ge](mailto:office@bakertillygeorgia.ge)

[www.bakertillygeorgia.ge](http://www.bakertillygeorgia.ge)

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რაიმე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.